ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე
ეკატერინე გასიტაშვილი – კოლეგიის წევრი
ზურაბ ძლიერიშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – დ. გ.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 01.04.2014
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 033/14
ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ადვოკატი დ. ლ. /სიითი №/
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დიანა ლაზიშვილისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2014 წლის 01 აპრილს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა დ. გ-მ და მოითხოვა ადვოკატ დ. ლ-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2013 წლის ნოემბრის თვის დასაწყისში მან მიმართა საადვოკატო ბიუროს „ლ. თ. და პარტნიორები", სადაც საქმის ვითარება გააცნო ადვოკატებს ლ. თ-სა და დ. ლ-ს. საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადასცა საქმის მასალები და ადვოკატისაგან იურიდიული მომსახურების გაწევაზე და საქმის დადებითად გადაწყვეტაზე თანხმობა მიიღო. საქმის ვითარება ეხება საჩივრის ავტორის დედის მიერ დატოვებულ ანდერძს და ნოტარიულად დამოწმებულ თანხმობას, თითქოს საჩივრის ავტორის დედამ თანხმობა განაცხადა მისი რძლის სახელზე მთელი ქონების გადასვლის თაობაზე, ხოლო საჩივრის ავტორის მეუღლემ ისარგებლა ამით და არაკეთილსინდისიერად გადაიფორმა მთელი ქონება, რითაც საჩივრის ავტორს მიაყენა მატერიალური ზიანი. საჩივრის ავტორს აღნიშნული დოკუმენტების ხელმოწერებზე გრაფიკული ექსპერტიზის ჩატარება სურდა, თუმცა ექსპერტიზისათვის საჭირო იყო

დოკუმენტების დედნები, რომელზეც საჯარო რეესტრის არქივიდან მათ ამოღებაზე უარი ეთქვა.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ადვოკატებს გადასცა საქმის მთლიანი მასალა, ხოლო ყურადღება გაამახვილა ქუთაისის მერიის 2007 წლის 06 ივლისის გადაწყვეტილებაზე, რომლის საფუძველზეც გაიცა მისი ყოფილი მეუღლის - მ. გ-ის სახელზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა მისი დედის, რ. გ-ის მფლობელობაში არსებულ 71,22 კვ. მ საცხოვრებელ ფართზე. აღნიშნულ დოკუმენტში მითითებული იყო ქუთაისის სასამართლოს მიერ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც სასამართლომ საჩივრის ავტორი და მისი ოჯახის წევრები უფლებადაკარგულად ცნო.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატებმა მას განუხცადეს, რომ დაამტკიცებდნენ აღნიშნული ანდერძის სიყალბეს, რაც იქნებოდა ახლად აღმოჩენილი გარემოება. საჩივრის ავტორმა ადვოკატისგან მოითხოვა განმარტება, მოხდებოდა თუ არა 2007 წლის საკუთრების მოწმობის გაუქმება მისი გაცემიდან 7 წლის გასვლის შემდეგ, რაზეც მან დაარწმუნა, რომ საქმეს ბოლომდე მიიყვანდა, რის შემდეგაც საჩივრის ავტორმა ადვოკატზე გასცა რწმუნებულება, დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ადვოკატმა საქმის წარმოებისათვის 500 (ხუთასი) ლარის გადაცემა მოსთხოვა. ადვოკატმა დ. ლ-მ საჩივრის ავტორი დაიბარა და განუმარტა, რომ იგი უზრუნველყოფდა საკონსულტაციო ექსპერტიზის ჩატარებას, რისთვისაც საჭირო იყო 1140 (ათას ასორმოცი) ლარი. 2013 წლის 20 დეკემბერს ადვოკატმა მას დამოუკიდებელი ექსპერტიზის კონსულტაციური დასკვნა გააცნო. ასევე, ადვოკატის მოთხოვნით, საჩივრის ავტორმა ადვოკატთან 2013 წლის 21 დეკემბერს გააფორმა მეორე ხელშეკრულება, რომლის მიხედვით საჩივრის ავტორს უნდა გადაეცა ჰონორარის სახით 2000 (ორი ათასი) ლარი; ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, დ. გ-მ ადვოკატს გადასცა 500 (ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში 850 (რვაასმორმოცდათი) ლარი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა გადაეცა 2014 წლის 15 თებერვლამდე.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა 2014 წლის 13 იანვარს გააგზავნა განცხადება ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, რისი გაგზავნის თანხაც თავად გადაიხადა 10 ლარის ოდენობით. მოგვიანებით ადვოკატი დაუკავშირდა საჩივრის ავტორს და მოახსენა, რომ საქმის გამომძიებელი ითხოვდა მასთან შეხვედრას, ხოლო ადვოკატი მხოლოდ იმ შემთხვევაში გააგრძელებდა საადვოკატო მომსახურების გაწევას, თუ საჩივრის ავტორი დარჩენილ თანხას გადაიხდიდა. საჩივრის ავტორმა განუმარტა, რომ მას აღნიშნული თანხა არ გააჩნდა და ნაწილ-ნაწილ გადასცემდა, რაზეც ადვოკატისგან კატეგორიული უარი მიიღო. საჩივრის ავტორმა გამომძიებლის კოორიდნატები მოსთხოვა ადვოკატს, რის გადაცემაზეც მან უარი განუცხადა. ხოლო ორი კვირის შემდეგ, ადვოკატმა საჩივრის ავტორს უთხრა, რომ მასთან წყვეტდა ურთიერთობას და დაუბრუნებდა საქმის მასალებს, თუ კლიენტი არ წაიღებდა მასალებს, მაშინ ადვოკატი დოკუმენტაციას მის მისამართზე გადააგზავნიდა, რაზეც დ. გ-მ უარი განაცხადა. დ. ლ-მ კლიენტს ისიც უთხრა, რომ

გამომძიებლისგან გამოითხოვდა საქმეში ჩადებულ ორდერს და გამომძიებელთან არავითარი ურთიერთობა აღარ შედგებოდა დ. გ-ის საქმეზე.

1.6 კლიენტმა დ. ლ-ს შესთავაზა მის მიერ გადაცემული თანხიდან მხოლოდ იმ ნაწილის დატოვება, რისი სამუშაოც შეასრულა მან, ხოლო დანარჩენი თანხის უკან დაბრუნება მოსთხოვა, რაზეც ადვოკატმა კატეგორიული უარი განუცხადა.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი პრეტენზია ეხება იმ ფაქტს, თუ რამდენად შედეგის მომტანი იქნებოდა ადვოკატ დ. ლ-ის მიერ შეკვეთილი გრაფიკული ექსპერტიზის ჩატარება ქსეროასლით, რაშიც საჩივრის ავტორმა 1140 ლარი გადაიხადა, ასევე, რამდენად სწორი იყო მისი დაპირება საკუთრების უფლების მოწმობის გაუქმებასთან დაკავშირებით. საჩივრის ავტორს ადვოკატისათვის მთლიანობაში გადაცემული აქვს 2518 (ორი ათას ხუთასთხუთმეტი) ლარი.

1.8 საჩივრის ავტორმა 2014 წლის 30 აპრილს წარმოადგინა დამატებითი ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად ადვოკატი დ. ლ. და მისი კოლეგა დაპირდნენ, რომ ანდერძის სიყალბის გზით შესაძლებელი იყო საკუთრების მოწმობის გაუქმება, რაც რეალურად შეუძლებელი იყო, ვინაიდან ბინაზე მისი მეუღლის საკუთრების წარმოშობის საფუძველი გახდა არა ანდერძი, არამედ ბინის მფლობელობის ფაქტი. საჩივრის ავტორის დედას გააჩნდა მხოლოდ სადაო ბინით სარგებლობის უფლება. შესაბამისად, მას არ ჰქონდა ანდერძით ბინის განკარგვის უფლება და ანდერძის სიყალბის დადგენა საქმის შედეგზე გავლენას ვერ იქონიებდა. ადვოკატებთან ხელშეკრულება ანდერძის სიყალბის დადგენით საკუთრების მოწმობის გაუქმების იმედით დაიდო. ადვოკატები საჩივრის ავტორს პირდებოდნენ, რომ სამოქალაქო წესით ბინის საკუთრებაში გადაცემას ან ბინის ღირებულების შესაბამისად, ზიანის ანაზღაურებას მოითხოვდნენ. საჩივრის ავტორის განმარტებით, იგი სწორედ ადვოკატების დაპირების გამო დათანხმდა მათ საკონსულტაციო ექსპერტიზის ჩატარებაზე, თუმცა, საბოლოოდ საადვოკატო მომსახურება გამოიხატა ქუთაისში გამოძიების დაწყების მოთხოვნით ერთი წერილის გაგზავნაში.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატებს პირველი შეხვედრისთანავე სრულად გადასცა მის ხელთ არსებული საქმის მასალები, საიდანაც მათ უნდა სცოდნოდათ, რომ ბინა მის მეუღლეს დარჩა არა ანდერძის, არამედ მფლობელობის ფაქტის საფუძველზე. შესაბამისად, ადვოკატებს არ შეიძლება ჰქონოდათ საქმის მოგების იმედი და მათ მიზანს წარმოადგენდა კლიენტისაგან თანხის მიღება საადვოკატო მომსახურების გაწევის გარეშე.

1.10 2014 წლის 01 მაისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ ადვოკატებისთვის საქმის შინაარსისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, ის ადვოკატებთან შეთანხმდა, რომ შესაძლებელი იყო საქმის წარმოების თავიდან დაწყება ახლად აღმოჩენილი გარემოების საფუძვლით. პირველივე შეხვედრაზე განისაზღვრა, რომ სისხლის სამართლის საქმეს აწარმოებდა დ. ლ., ხოლო სამოქალაქო საქმეს - მისი კოლეგა. მეორე შეხვედრაზე ადვოკატებმა დ. გ-სთან ისაუბრეს ექსპერტიზის ჩატარების მნიშვნელობისა და შედეგების შესახებ და კლიენტთან შეთანხმდნენ კონსულტაციური ექსპერტიზის ჩატარებაზე. ადვოკატებმა დ. გ-ს

განუმარტეს, რომ აღნიშნული დასკვნა მომავალში გაამყარებდა მათ განცხადებას გამოძიების დაწყების მოთხოვნით ანდერძის გაყალბების ფაქტზე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა დ. ლ-მ პარტნიორ ადვოკატთან ერთად ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება 2013 წლის 27 აგვისტოს, რომლის თანახმად 2013 წლის ნოემბრის თვეში მათ ბიუროს მიმართა დ. გ-მ დასრულებულ სამოქალაქო საქმეზე კონსულტაციისათვის. დასრულებული სამოქალაქო დავა შეეხებოდა უძრავი ქონების პრივატიზაციაზე დ. გ-ის უფლებადაკარგულად ცნობას.

2.2 ადვოკატის განმარტებით, საქმეში ძირითად მტკიცებულებებს წარმოადგენდა, საჩივრის ავტორის დედის აწ გარდაცვლილი რ. გ-ის სახელით 1995 წლის 28 დეკემბერს გაცემული თანხმობა და ამავე წლის 30 დეკემბერს დაწერილი ანდერძი. ზემოაღნიშნულ თანხმობაზე სასამართლო განჩინებით ექსპერტიზამ გასცა კატეგორიული დასკვნა, რომლის თანახმადაც თანხმობის ხელნაწერი არ ეკუთვნოდა რ. გ-ს, ხოლო ანდერძსა და თანხმობაზე არსებულ ხელმოწერაზე ექპერტიზა ვერ ჩატარდა, რადგან იმ დროისთვის არ არსებობდა რ. გ-ის ხელმოწერის თავისუფალი ნიმუშები.

2.3 ადვოკატის განმარტებით, დ. გ-ს ფაქტობრივად გამოყენებული ჰქონდა კანონით გათვალისწინებული თითქმის ყველა შესაძლებლობა, ამიტომ მან მოითხოვა საჩივრის წარდგენა საგამოძიებო ორგანოებში. ასევე სურდა კონსულტაციურ ფორმატში ექსპერტთან შეხვედრა, რომელიც ანდერძის ასლის საფუძველზე გასცემდა ზოგად კონსულტაციას.

2.4 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორის თანდასწრებით დაუკავშირდნენ დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის ,,ვექტორის“ დირექტორს, რომელმაც განმარტა, რომ შესაძლებელი იყო კონსულტაციურ ფორმატში, საინფორმაციო შინაარსის მქონე დოკუმენტის შედგენა, რომლის მომსახურების საფასურიც შეადგენდა 1040 (ათას ორმოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.5 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორმა გამოთქვა თანხმობა ექსპერტიზის ჩატარებაზე. მან სრული ნდობა გამოუცხადა ადვოკატებს და სთხოვა წარედგინათ დოკუმენტები ექსპერტისთვის, ასევე გადასცა ექსპერტიზის ღირებულება 1040 (ათას ორმოცი) ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა 2013 წლის 19 დეკემბერს ადვოკატების მიერ გადახდილი იქნა დანიშნულებისამებრ, გადახდილი თანხის დამადასტურებელი №--/-- სალაროს შემოსავლების ორდერის ასლები გადაეცა საჩივრის ავტორს.

2.6 ადვოკატის განმარტებით, 2013 წლის 18 დეკემბერს საჩივრის ავტორთან გაფორმდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც საჩივრის ავტორს მომსახურების სანაცვლოდ უნდა გადაეხადა 500 (ხუთასი) ლარი.

2.7 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორი ისევ მივიდა მათთან და სთხოვა საჩივრის მომზადება საგამოძიებო ორგანოში წარსადგენად. ადვოკატების განცხადებით, დ. გ-ს განემარტა, რომ საჩივრის წარდგენა არ ნიშნავდა ავტომატურად გამოძიების დაწყებას, ასევე უთხრა, რომ ვერ მისცემდა გარანტიას საქმის წარმატებით დასრულების შესახებ. საჩივრის ავტორი დათანხმდა აღნიშნულ პირობებს, რაც დასტურდება 2013 წლის 21 დეკემბრის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით.

2.8 ადვოკატის განცხადებით, საჩივარში მითითებული საკუთრების მოწმობისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაუქმება საერთოდ არ ყოფილა ადვოკატების მხრიდან საჩივრის ავტორთან განხილვისა და მსჯელობის საგანი. დავის საგანი სამოქალაქო წესით დავის მიმდინარეობის დროს გასხვისებული იყო, შესაბამისად, საჩივრის ავტორს განემარტა, რომ კეთილსინდისიერი შემძენის მიმართ მოთხოვნა ვერ ექნებოდა.

2.9 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორი თანახმა იყო მოსალოდნელი შედეგების მიუხედავად, მაინც დაეწყო საქმის წარმოება, შესაბამისად მოხდა ხელშეკრულების გაფორმება და ჰონორარზე შეთანხმება. შეთანხმებული ჰონორარის ნაწილი 850 (რვაას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით საჩივრის ავტორმა ადვოკატებს გადასცა ხელზე, იმ საფუძვლით, რომ ენდობოდა მათ.

2.10 ადვოკატის განმარტებით, 2013 წლის 21 დეკემბრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესრულებული იქნა დათქმულ დროს, კერძოდ, ადვოკატებმა მოამზადეს საჩივარი და 2014 წლის 21 დეკემბერს გააგზავნეს ქ. ქუთაისის შს საქალაქო სამმართველოში. სამმართველოს აღნიშნული საჩივარი ჩაბარდა 25 იანვარს. საქმეს აწარმოებდა გამომძიებელი ა. ტ., რომელმაც ადვოკატებს განუცხადა, რომ შეეძლოთ ქუთაისში ჩასულიყვნენ წინასწარ შეთანხმებულ დროს. ადვოკატის განმარტებით, ისინი ცდილობდნენ შეეთანხმებინათ ქუთაისში წასვლის დრო საჩივრის ავტორთან, მაგრამ ვერ უკავშირდებოდნენ.

2.11 ადვოკატის განმარტებით, იგი 2014 წლის 20 თებერვალს დაუკავშირდა საჩივრის ავტორს და მიუთითა მის მიერ ხელშეკრულების დარღვევის ფაქტზე, კერძოდ, შეთანხმებული ჰონორარს მეორე ნაწილის გადახდაზე, ადვოკატმა კლიენტი გააფრთხილა მისი მხრიდან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შესაძლო მოშლის თაობაზე.

2.12 ადვოკატის განცხადებით, კლიენტისათვის ზემოაღნიშნული გაფრთხილების მიცემიდან რამდენიმე დღეში, მათ დაუკავშირდა სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის ,,ვექტორის“ დირექტორი ა. გ. და განაცხადა, რომ ვინმე დ. გ. ითხოვდა ყველა იმ დოკუმენტის გაცნობას, რომელიც ადასტურებდა ადვოკატის მიერ 1040 (ათას ორმოცი) ლარის გადახდის ფაქტს. ა. გ-მ გადასცა მას ყველა დოკუმენტი.

2.13 ადვოკატების განმარტებით, საჩივრის ავტორის ქმედება არის პროვოკაციული, მას არ სურს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და სწორედ ამიტომ წარმოადგინა საჩივარი ეთიკის კომისიაში.

2.14 საპროცესო კოლეგიის 2014 წლის 08 მაისის სხდომაზე ადვოკატმა დ. ლ-მ განმარტა, რომ ის და მისი კოლეგა მოქმედებდნენ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და ყველა გადაწყვეტილება თანხმდებოდა დ. გ-სთან.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი დ. ლ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/. ადვოკატის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 დ. გ-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2014 წლის 01 აპრილს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2013-2014 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე (2009 წლის რედაქცია) არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. სამართლებრივი შეფასება

4.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი დ. ლ. შეპირდა, რომ მის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების შედეგად გაუქმდებოდა საკუთრების მოწმობა, მაგრამ არ გაუწია მას კვალიფიციური საადვოკატო მომსახურება, კერძოდ, კლიენტისათვის თავიდანვე ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ ადვოკატის მიერ განხორციელებულ სამართლებრივ მოქმედებები უშედეგო იქნებოდა.

4.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ დ. ლ-ის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

4.2.1 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი: ,,ადვოკატს უფლება არ აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით."

4.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა."

4.3 ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებისა და მინიჭებული რწმუნების საფუძველზე იმოქმედოს კლიენტის ინტერესების დასაცავად და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება.

4.4 ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, საქმე №066/10 კომისიამ დაადგინა, რომ „საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის

ინტერესების დაცვა („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი – 2,5,6.) არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით.“

4.5 დ. გ-მ საადვოკატო ბიურო „ლ. თ. და პარტნიორები“-ს ადვოკატებს დ. ლ-სა და მის კოლეგას, საადვოკატო მომსახურებისათვის მიმართა დასრულებულ სამოქალაქო საქმეზე დავის დაწყების შესაძლებლობის გასარკვევად. დასრულებული სამოქალაქო დავის საგანს წარმოადგენდა საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციაზე უფლებადაკარგულად აღიარება. დ. გ-ის ვარაუდით დედის ანდერძი იყო ყალბი. ექსპერტზის ჩატარებაზე მას სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ეთქვა უარი ექსპერტიზის ჩასატარებლად მასალების არასაკმარისობის საფუძვლით. დ. გ-ს ხელთ არ გააჩნდა ანდერძის დედანი. საჩივრის ავტორს ადვოკატებმა გაუწიეს სამართლებრივი კონსულტაცია და საქმეში არსებული 2013 წლის 14 ნოემბრის რწმუნებულებით დ. გ-მ მისი ინტერესების დასაცავად, ადვოკატებს ერთი წლით მიანიჭა უფლებამოსილება - წარმოედგინათ ყველა ინსტანციის სასამართლოში შესაბამის სამოქალაქო და/ან ადმინისტრაციულ საქმეზე. 2013 წლის 18 ნოემბრის ხელშეკრულების თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი მოამზადებდა რ. გ-ის ხელმოწერით 1995 წლის 30 დეკემბერს შესრულებული ანდერძის გრაფიკული შესწავლისა და შუალედური საინფორმაციო შინაარსის მქონე დასკვნის მისაღებად საქმის მასალებს და წარადგენდა სპეციალურ დაწესებულებაში. 2013 წლის 21 დეკემბერს საჩივრის ავტორსა და ადვოკატებს შორის დადებული მეორე ხელშეკრულების თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ადვოკატებს გამოძიების ეტაპზე უნდა ეწარმოებინათ საქმე შესაბამის ორგანოებში, 1995 წლის 30 დეკემბრით დათარიღებული ანდერძისა და 1995 წლის 28 დეკემბრით დათარიღებული თანხმობის სიყალბესთან დაკავშირებით.

4.6 ადვოკატთა მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ჯეროვნად შესრულდა. ადვოკატებმა 2013 წლის 18 ნოემბრის ხელშეკრულების თანახმად, შეისწავლეს კლიენტის მიერ მათთვის გადაცემული მასალები და კლიენტთან შეთანხმების შესაბამისად 2013 წლის 17 დეკემბერს მიმართეს დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრს. 2013 წლის 17 დეკემბერს შპს დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ „ვექტორსა“ და ადვოკატ დ. ლ-ს შორის დაიდო ხელშეკრულება N12/09 კონსულტაციური მომსახურებისათვის რ. გ-ის გვარით შესრულებულ ხელმოწერებთან დაკავშირებით. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა 1040 (ათასორმოცი) ლარი. სალაროს შემოსავლის ორდერით N--/--- დასტურდება, რომ ადვოკატმა დ. ლ-მ ექსპერტზის ცენტრში გადაიხადა მომსახურების საფასური 1040 (ათასორმოცი) ლარის ოდენობით 2013 წლის 19 დეკემბერს. 2013 წლის 19 დეკემბერს ადვოკატ დ. ლ-ს გადაეცა დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტზის ცენტრის N12/31 კონსულტაციური დასკვნა. ამის შემდეგ 2013

წლის 21 დეკემბერს მხარეთა შორის დადებული მეორე ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატმა დ. ლ-მ მოამზადა და 2013 წლის 21 იანვარს გააგზავნა განცხადება ქუთაისის შს საქალაქო სამმართველოში, რ. გ-ის ანდერძის გაყალბების ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით. აღნიშნულ განცხადებას ერთვოდა დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის ,,ვექტორის" 2013 წლის 19 დეკემბრის კონსულტაციური დასკვნა.

4.7 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ კლიენტისათვის სასურველი შედეგის მიუღებლობა თავისთავად არ გულისხმობს არაკვალიფიციურ წარმომადგენლობას. ადვოკატის ვალდებულებას წარმოადგენს მინიჭებული რწმუნებულების საფუძველზე და კლიენტთან შეთანხმებული წესით განახორციელოს შესაბამისი საადვოკატო მომსახურება, რადგან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება თავისი არსით კვალიფიციური მომსახურების გაწევასა და კლიენტის ინტერესების სათანადოდ დაცვას გულისხმობს, რაც მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა დ. ლ-მ შეასრულა.

4.8 საჩივრის ავტორის პრეტენზიიდან გამომდინარე, ადვოკატის მიერ გაწეული სამართლებრივი კონსულტაციებისა თუ მოქმედებათა სისწორესთან და შედეგიანობასთან დაკავშირებით, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით /დისციპლინური საქმე №026/10/ დაადგინა, რომ: ,,მის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება, მათ შორის, ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ადვოკატის მიერ პროცესზე წარმოთქმული სიტყვა ან მომზადებული დოკუმენტი, თუმცა კვალიფიციურ და კეთილსინდისიერად განხორციელებულ წარმომადგენლობად არ ჩაითვლება, თუ ადვოკატი არ ემზადება პროცესისთვის ან საერთოდ არ ცხადდება პროცესზე, ასევე არ ასრულებს კლიენტის მითითებებს, თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი ამ მითითებების შეუსრულებლობისა, რაც პირველ რიგში შეიძლება გამოიხატებოდეს კლიენტის სამართლებრივი პოზიციის ზიანში, თუმცა აქაც ძირითად გადაწყვეტილებას კერძო ავტონომიის ფარგლებში იღებს კლიენტი ადვოკატისაგან მიღებული კვალიფიციური რჩევის შემდეგ." შესაბამისად, ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის და საპროცესო კოლეგია ვერ იმსჯელებს რამდენად სწორი სტრატეგია აირჩია ადვოკატმა დ. ლ-მა საჩივრის ავტორის საქმის წარმოებისას და რამდენად სწორი იყო მის მიერ საკონსულტაციო ექსპერტიზის ჩატარება თუ სამმართველოში განცხადების გაგზავნა გაყალბების ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით. ეთიკის კომისია მხედველობაში იღებს, რომ ადვოკატის ქმედებები მიზნად ისახავდა კლიენტის ინტერესების დაცვას და შეესაბამებოდა ხელშეკრულებებით ნაკისრ მოვალეობებს.

4.9 ეთიკის კომისია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დ. გ. არ დაობს საადვოკატო მომსახურების გაწევის პერიოდში ადვოკატის მხრიდან მის არაინფორმირებულობაზე ან საქმის მასალების გადაუცემლობაზე. საქმეში წარმოდგენილი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებები, სადაც კონკრეტულად არის მითითებული მომსახურების საგანი, ასევე საექსპერტო მომსახურებისთვის გადახდილი თანხის

ქვითარი, საადვოკატო მომსახურებისთვის გადახდილი თანხის ქვითრები, 01.01.2014-31.03.2014 სატელეფონო დეტალური ამონაწერი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატს კლიენტთან ჰქონდა კომუნიკაცია და კლიენტი ინფორმირებული იყო, როგორც ადვოკატის მიერ აღებულ ვალდებულებებზე, ასევე შესრულებულ სამუშაოზე.

4.10 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატმა კლიენტს უნდა აცნობოს ყველა იმ მოსალოდნელი რისკის შესახებ, რომელიც თან ახლავს კონკრეტული საქმის წარმოებას, წინასწარი ზუსტი პროგნოზის გაკეთება საქმის მსვლელობის შესახებ არალოგიკურია, ვინაიდან სასამართლო პროცესი დისპოზიციური და შეჯიბრებითია, შესაბამისად, ადვოკატს არ აქვს უფლება მისცეს გარანტია კლიენტს მის საქმესთან დაკავშირებით.

4.11 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე 054/12, განმარტა, რომ: ,,ადვოკატის მიერ საქმის 100%-იანი წარმატებით დასრულების შეპირება განსხვავდება აღნიშნული შედეგის მიღწევის მიზნით კვალიფიციური სამართლებრივი მომსახურების გაწევის შეპირებისაგან. საქმეზე გარანტიის მიცემა კლიენტისათვის, იქნება ეს სასამართლო პროცესი თუ ადმინისტრაციული საქმისწარმოება, მაშინ, როდესაც ადვოკატის მიერ დაპირებული პირობები არ სრულდება, იწვევს ნდობის დაკარგვას ადვოკატთა პროფესიისადმი და დამატებით, მართლმსაჯულების სისტემის დისკრედიტაციას. ამიტომ, ეს აკრძალულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით და ადვოკატებმა მკაცრად უნდა დაიცვან ეს აკრძალვა, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ადვოკატებმა არ შეიძლება აცნობონ კლიენტს საქმესთან დაკავშირებული ამა თუ იმ რისკის დონის და პროცესის სავარაუდო დასრულების მათი შეფასების შესახებ.“

4.12 ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა გარანტია მისცა მას საკუთრების მოწმობის გაუქმების თაობაზე, რადგანაც საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება ეთიკის კომისიის დასაბუთებული ვარაუდის შექმნისათვის ადვოკატის მიერ კლიენტისათვის საქმის შედეგის თაობაზე დაპირების მიცემის შესახებ. ამავე დროს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებებში კონკრეტულად არის მითითებული ხელშეკრულების საგანი. ადვოკატის მიერ საქმის შედეგის თაობაზე პრეტენზია ეფუძნება მხოლოდ კლიენტის განცხადებას და წარმოდგენილი არ არის რაიმე მტკიცებულება, ასევე კლიენტს არ მიუთითებია ისეთი მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობაზე, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ადვოკატის მიერ მსგავსი ქმედების განხორციელების ფაქტის დადასტურება.

4.13 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატ დ. ლ-ის ქმედებებში არ არის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილების შესაძლო დარღვევის ნიშნები. შესაბამისად, ადვოკატ დ. ლ-ის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-33 მუხლებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მესამე და მეხუთე ნაწილებით, ასევე ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე–4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 31-ე მუხლით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. №033/14 დისციპლინურ საქმეზე არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ დ. ლ-ის მიმართ /სიითი №/.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გასიტაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ზურაბ ძლიერიშვილი/